



სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

2023

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია /Pharmacy
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	ფარმაციის ბაკალავრი /Bachelor of Pharmacy
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	<p>საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.</p> <p>ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 4 წელს ანუ 8 სემესტრს შეადგენს.</p> <p>სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.</p>
პროგრამის ხელმძღვანელი	ნატო ალავიძე- ფარმაციის დოქტორი, მოწვეული პროფესორი

	<p>ნოდარ სულაშვილი -ასოცირებული პროფესორი (სრული ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის შესახებ იხ. თანდართულ CV-ში)</p>
--	--

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

<p>პროგრამის მიზნები</p>	<p>ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია: მოამზადოს დემოკრატიული და ჰუმანიზმის იდეალებზე, პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური ფარმაციის ბაკალავრები, ფარმაცევტულ სექტორში ღირსეული პროფესიული საქმიანობისათვის:</p> <p>კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ სამკურნალო ნივთიერებების თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზის ჩასატარებლად;</li> <li>➤ ეფექტური და უსაფრთხო სამკურნალო საშუალებების წარმოებისათვის;</li> <li>➤ ფარმაცევტული სამსახურის, როგორც სამკურნალო საშუალებათა ხარისხის კონტროლზე პასუხისმგებელი სახელმწიფო სტრუქტურის მნიშვნელობის გაცნობიერებისათვის;</li> </ul>
<p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა</p>	<p>ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.</p> <p>ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.</p> <p>ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.</p> <p>ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.</p>

<p>სწავლის შედეგები</p>	<p>ცოდნა და გაცნობიერება</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. იცის საბუნებისმეტყველო, სამედიცინო და ფუნდამენტური ფარმაცევტული დისციპლინების ძირითად თეორიული კონცეფციები და განსაზღვრავს მნიშვნელოვან საკითხებს;</li> <li>2. განსაზღვრავს ფარმაცევტული სამსახურის, როგორც სამკურნალო საშუალებათა ხარისხის კონტროლისა და მოსახლეობის ეფექტური და უსაფრთხო მედიკამენტებით მომარაგებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო სტრუქტურის, მნიშვნელობას;</li> <li>3. ცნობს ჯანდაცვის სისტემებში ფარმაცევტის როლს და იცის სისტემის შიგნით მათი ღირებულების დემონსტრირება და რაოდენობრივი შეფასება.</li> </ol>
<p>(ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს შემდეგ კომპეტენციებს.</p>	<p>უნარი.</p> <ol style="list-style-type: none"> <li>3. ახდენს ფარმაკოლოგიური ჯგუფების მიხედვით, მედიკამენტების დიფერენცირებასა და მათი ეფექტურობის პროგნოზირებას სხვადასხვა დაავადებების დროს (წამლების მოქმედების მექანიზმის, დანიშვნის ჩვენებების, გვერდითი ეფექტების, უკუჩვენებების და თავსებადობის გათვალისწინებით);</li> </ol>
	<ol style="list-style-type: none"> <li>4. ატარებს როგორც სამკურნალო პრეპარატების თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზს, ასევე ახდენს ბიოლოგიური მასალიდან ტოქსიკური ნივთიერებების იზოლირებას, ახორციელებს შხამებზე ქიმიურ-ტოქსიკოლოგიურ კვლევას მკაცრად განსაზღვრული ალგორითმით;</li> <li>5. ახდენს სამკურნალო მცენარეული ნედლეულის პირველად გადამუშავებას, შრობას, აკეთებს ნამდვილობასა და კეთილხარისხოვნებაზე დასკვნას;</li> <li>6. რეცეპტის საფუძველზე, აწარმოებს გამოთვლებს სხვადასხვა წამლის ფორმების (ფხვნილების, მიქსტურების, მალამოების, სუსპენზიების, ემულსიების, კოლოიდური და მაღალმოლეკულურ ნივთიერებათა შემცველი საინექციო ხსნარების) მომზადების დროს, დაამზადებს, ამოწმებს და გაცემს წამალს;</li> <li>7. წარადგენს წინასწარ განსაზღვრული მითითებებით ჩატარებული კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტს/ნაშრომს (ანგარიშის სახით), იცავს საკუთარ პოზიციას საკვანძო საკითხებთან მიმართებაში.</li> <li>8. ახდენს ფარმაცევტული ორგანიზაციის საქმიანობაზე მოქმედი რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირებას უახლესი მიდგომების გამოყენებით და მოიძიებს ახალ გზებს პრობლემების გადაჭრისათვის; წინასწარ განსაზღვრული მითითებებით აგროვებს და განმარტავს ფარმაციისთვის დამახასიათებელ მონაცემებს;</li> <li>9. ამზადებს სამკურნალო-პროფილაქტიკურ საშუალებებს მცენარეული ნედლეულისა და სხვადასხვა სუბსტანციისაგან. იცავს და უზრუნველყოფს ფარმაცევტული პროდუქციის შენახვის პირობებს. ატარებს წამლის ფარმაცევტულ ანალიზს. რეცეპტურაში ამოწმებს შხამიანი და ძლიერმოქმედი ნივთიერებების დოზებს ასაკის შესაბამისად.</li> <li>10. მედიკამენტების გამოყენების სისტემების უსაფრთხოებისა და ეფექტურობის ოპტიმიზაციის მიზნით მართავს მედიკამენტების გამოყენების სისტემებს. კომპეტენციის ფარგლებში მართავს პაციენტის ჯანდაცვის საჭიროებებს ადამიანური, ფინანსური, ტექნოლოგიური და ფიზიკური რესურსების გამოყენებით</li> <li>11. ახორციელებს პოპულაციაზე დაფუძნებულ ზრუნვას: პაციენტზე ორიენტირებულ მოვლას და ორიენტირებულია პრაქტიკის გაიდლაინების და მტკიცებულებებზე დაფუძნებული საუკეთესო პრაქტიკის შემუშავებაზე.</li> <li>12. ფარმაციის სფეროსათვის დამახასიათებელ შემეცნებით და პრაქტიკულ უნარებს იყენებს რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადაჭრისათვის. ფარმაცევტულ პრაქტიკაში სამართლებრივი პრინციპების გამოყენებით აფასებს (მოწყვლადი კონტიგენტისათვის) სამკურნალო საშუალებათა კლინიკურ ეფექტურობასა და</li> </ol>

სწავლება-სწავლის მეთოდები	<p>ღირებულებით ეფექტურობას. იღებს გადაწყვეტილებებს კონკრეტულ სიტუაციაში, მათ შორის შეუთავსებელი ან არასწორად გამოწერილი რეცეპტების შემთხვევაში ექიმთან ეფექტური კომუნიკაციით, პრევენციული ხედვითა და დროული რეაგირებით. სტანდარტული და ზოგიერთი უახლესი მეთოდის გამოყენებით, განყენებული მონაცემების ან/და სიტუაციების ანალიზის საფუძველზე აყალიბებს სათანადო დასკვნებს რომლებიც ითვალისწინებენ შესაბამის სოციალურ, სამეცნიერო ან/და ეთიკურ საკითხებს. კონტექსტისათვის შესაბამისი ფორმებით, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით ახდენს სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან კომუნიკაციას იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ.</p>
	<p>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა შეისწავლის ფარმაციის სფეროში მიმდინარე პროცესებს; იყენებს სამეცნიერო წყაროებს მეცნიერული კეთილსინდისიერებით და შესაბამისად იღრმავებს ცოდნას ; ავლენს პატივისცემას კონსტრუქციული კრიტიკული დამოკიდებულების მიმართ მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით აფასებს საკუთარ შესაძლებლობებსა და სწავლის შედეგებს. კომპეტენციის ფარგლებში ახდენს ჯანდაცვის სისტემის შიგნით ღირებულების დემონსტრირებასა და რაოდენობრივ შეფასებას. კულტურული სენსიტიურობით, გამოავლენს ჯანმრთელობის სოციალურ განმსაზღვრელ ფაქტორებს, რათა შემცირდეს თანასწორობა და უთანასწორობა ხარისხიანი ზრუნვის ხელმისაწვდომობაში.</p>
	<p>ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისთვის ცოდნის გადაცემა წარმოებს ისეთი საშუალებებით, როგორცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვ., წავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვ.</p> <p>სწავლების პროცესის ორგანიზება მიზნად ისახავს ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომელიც საბაკალავრო პროგრამის რეალიზაციის შედეგად უზრუნველყოფს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მიღწევას. სწავლების პროცესში გამოიყენება როგორც კონკრეტული მეთოდები:</p> <p>ლექცია შემოქმედებითიპროცესია, რომელშიც ერთდროულად მონაწილეობენ ლექტორი და სტუდენტი. ლექციის ძირითადი მიზანია შესასწავლი საგნის დებულებათა იდეის გაგება, რაც გულისხმობს გადმოცემული მასალის შემოქმედებით და აქტიურ აღქმას. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს გადასაცემი მასალის ძირითად დებულებებს, განმარტებებს, აღნიშვნებს, დაშვებებს. საჭიროა მთავარი საკითხების, ფაქტებისა და იდეების კრიტიკული ანალიზი. ლექცია უნდა უზრუნველყოფდეს შესასწავლი საგნის ძირითადი დებულებების მეცნიერულ და ლოგიკურად თანმიმდევრულ შეცნობას ზედმეტი დეტალებით გადატვირთვის გარეშე. ამიტომ, ის უნდა იყოს ლოგიკურად დასრულებული. ამასთან, ფაქტები, მაგალითები, სქემები, ნახაზები, ცდები და სხვა თვალსაჩინოებანი უნდა ემსახურობდეს ლექციის იდეის ახსნას. ლექციამ უნდა უზრუნველყოს მეცნიერების დიალექტიკური პროცესის სწორი ანალიზი და უნდა აიგოს კონკრეტულ გარემოში სტუდენტთა თავისუფალი აზროვნების შესაძლებლობის, ძირითად მეცნიერულ პრობლემათა შეცნობასა და გაგებაზე ორიენტირებით. ლექცია ზემოსმენილი მასალა მთლიანი ცოდნის სისტემად ყალიბდება სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობით. სტუდენტს უნდა აღემრას წიგნისადმი და სხვა საინფორმაციო წყაროებისადმი ინტერესი და საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილი, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა. ლექციის მეთოდური საკითხების დამუშავების დროს პედაგოგი ყურადღებას უნდა ამახვილებდეს სმასალის გადაცემის თანმიმდევრობაზე, ლექციის სტილზე, აუდიტორიასთან კავშირზე. ლექცია უნდა მიმდინარეობდეს სტუდენტთა აქტიური მონაწილეობით, მეთოდურ საშუალებათა და თვალსაჩინოების ფართოგამოყენებით. თეორიული მასალა, რომელიც ლექციაზე გადაიცემა, კარგად აღიქმება სამუშაო ჯგუფში მუშაობით, ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობებით.</p> <p>სამუშაო ჯგუფში მუშაობის დანიშნულებაა სტუდენტებს მიეცეს ლექციაზე მოსმენილი თემების გაღრმავების საშუალება. წამყვანი</p>

პროფესორის ან სამუშაო ჯგუფში/ პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობის წამყვანი პედაგოგის მითითებით სტუდენტი ან სტუდენტთა ჯგუფი მოიძიებს დაამუშავებს დამატებით ინფორმაციას, ამზადებს პრეზენტაციას, წერს ესსეს და სხვ. სადაც მოისმინება მოხსენებები, იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები. პროფესორი/პედაგოგი კოორდინაციას უწევს ამ პროცესების მიზანმიმართულად წარმართვას.

პრაქტიკული/ ლაბორატორიული მეცადინეობის დანიშნულებაა კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის საშუალებით თეორიული მასალის თანდათანობითი შესწავლა, რაც თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევების გამომუშავების საფუძველია. პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობების დანიშნულებაა თეორიული ცოდნის პრაქტიკული ამოცანებით გაღრმავება და განმტკიცება, რაც თეორიული ცოდნის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევების გამომუშავების საფუძველს წარმოადგენს.

პრაქტიკა -პრაქტიკა არის სასწავლო პროცესი სმნიშვნელოვანი ნაწილი და წარმოადგენს სტუდენტის დაგეგმილ და მიზანმიმართულ საქმიანობას, აკადემიურ გარემოში მიღებული თეორიული ცოდნის განმტკიცებასა და პრაქტიკული უნარების შეძენას. პრაქტიკის მიზანს წარმოადგენს სტუდენტების შეიარაღება პრაქტიკული უნარებით და მათი მომზადება მომავალი დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობისთვის. პრაქტიკის განხორციელებაში ჩართულია სამი მხარე: უნივერსიტეტი, სტუდენტი და პოტენციური დამსაქმებელი/მიმღები ორგანიზაცია/პრაქტიკის ობიექტი, ამდენად იგი სამივე მხარისათვის მნიშვნელოვანია: აკადემიური განათლებისა და თეორიის დაკავშირება რეალურ სამყაროსთან; სამუშაო გარემოში ჩართვა, საქმიანი ურთიერთობების ჩამოყალიბება; სასწავლო პროცესში განვითარებული კომპეტენციების პრაქტიკაში გავარჯიშება; ახალი კომპეტენციების გამომუშავება; საგანმანათლებლო პროგრამების განახლება სწარაფცვალებადი ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად; კურსდამთავრებულთა დასაქმების ამაღლება; მოტივირებულ ახალგაზრდებთან ურთიერთობა; უკეთ მომზადებული პროფესიონალის აღზრდის ხელშეწყობა; საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფაში მონაწილეობა ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

სწავლა-სწავლების მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შემდეგ აქტივობებს: ვერბალური - (თემის ახსნა, გამოკითხვა, მსჯელობა, დისკუსია- დებატები, პრეზენტაცია); წერიტი - (პრაქტიკული მეცადინეობებისთვის დავალების მომზადება, სამუშაო ჯგუფში მოხსენების/პრეზენტაციების მომზადება, ამონაწერები სახელმძღვანელოდან და სხვ.); საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება - (ინფორმაციის მოძიება-დამუშავება, სპეციალობასთან დაკავშირებული პრაქტიკული ხასიათის ამოცანების შესრულება, მოხსენების-თვის/პრეზენტაციისთვის საილუსტრაციო მასალის მომზადება და სხვ.), სხვადასხვა მეთოდების კომბინირება (მაგ., ლექციებზე - მოსმენა და ჩანაწერი; ჯგუფში მუშაობისას ვერბალური, შესწავლილ თემასთან დაკავშირებული, საკითხების განხილვა და დისკუსია/დებატები, პრეზენტაცია/მოხსენება, წერიტი დავალების/პრეზენტაციის მომზადება, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება).

სასწავლო პროცესში აქტიურად იქნება გამოყენებული: პრაქტიკული მეთოდები, დისკუსია/დებატები – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

ჯგუფური(collaborative) მუშაობა-ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებები სმიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავისმოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

თანამშრომლობითი სწავლება (cooperative)- იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

შემთხვევის ანალიზი (Case study)- აქტიური პრობლემურ-სიტუაციური ანალიზის მეთოდი, რომლის საფუძველია სწავლება

	<p>კონკრეტული ამოცანების - სიტუაციების გადაჭრის გზით.</p> <p>დემონსტრირების მეთოდები - ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენა მარტივი გზით პრობლემის არსში უკეთ წვდომის მიზნით.</p> <p>ინდუქცია - განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.</p> <p>დედუქცია - შემეცნების ისეთი მეცნიერული მეთოდი, რომელიც გულისხმობს საერთო ნიშან-თვისებიდან კერძო ნიშნების გამოყოფას. ამ დროს აზროვნება ისე მიმდინარეობს, რომ ყოველი კომპონენტი ლოგიკურად გამომდინარეობს წინა აზრიდან.</p> <p>დედუქციური მეთოდი საშუალებას გვაძლევს, გამოვიტანოთ სწორი დასკვნა, გამოვიყოთ საერთო პრინციპები და კანონები, რომლებიც არ მოგვცემს შეცდომის დაშვების უფლებას: ისინი კონკრეტული მოვლენის ფაქტობრივი სინამდვილის დადგენაში გვეხმარება.</p> <p>ანალიზი - გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთიმთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.</p> <p>სინთეზი - გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელსუწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.</p> <p>ახსნა-განმარტებითი მეთოდი - ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ. სწავლების პროცესში გამოიყენება ასევე: სტუდენტის მიერ საკუთარი სამუშაოს კრიტიკული ანალიზი და შეფასება; სხვათა სამუშაოს კონსტრუქციული კრიტიკა და სხვების მიერ საკუთარი სამუშაოს კრიტიკის გათვალისწინება; ინფორმაციის მოძიება ელექტრონულ ფორმატში კომპიუტერული ტექნიკის ან/და საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის გამოყენებით, დასახული ამოცანის რელევანტური ინფორმაციის და ლიტერატურის მიმოხილვა.</p> <p>სხვადასხვა მეთოდების გამოყენებისა და მათი კომბინირების შედეგად სასწავლო პროცესი ხდება უფრო მრავალფეროვანი, ხოლო სტუდენტების მონაწილეობა - უფრო აქტიური. მეთოდების კომბინირება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სტუდენტთა ჩართულობას, მათი შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებას - სტუდენტები ეჩვევიან დამოუკიდებელ ინდივიდუალურ და გუნდურ მუშაობას; მიზნების დასახვას და მათი მიღწევის ადეკვატური გზებისა და მეთოდების გამოყენებას; შესასრულებელი სამუშაოს ეტაპობრივ დაგეგმვას და დროის ორგანიზებას; საჭირო ინფორმაციის მოპოვებისთვის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და საბიბლიოთეკო ფონდის აქტიურ გამოყენებას და მოძიებული ინფორმაციის ანალიზს; დასკვნების და მოსაზრებების ჩამოყალიბება-დასაბუთებას, ვერბალურ/ წერით კომუნიკაციას, პრეზენტაციის მომზადება-მოწყობას, საკუთარი ცოდნისა და კომპეტენციის თვითპრეზენტაციას, დასკვნების და მოსაზრებების არგუმენტირებულ დაცვას. სწავლების პროცესში შესაძლებელია ამა თუ იმ მეთოდის შერჩევა, პრიორიტეტის მინიჭება სასწავლო ჯგუფისა და სასწავლო კურსის თავისებურებებიდან გამომდინარე, რადგან სწავლებისას გამოყენებული მეთოდების შერჩევა მიმართულია სწავლების აქტივიზებაზე, შემეცნებითი საქმიანობის განვითარებაზე, სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობაზე. სასწავლო კურსის სილაბუსში კონკრეტულად არის წარმოდგენილი სასწავლო კურსის განხორციელებისას გამოყენებული სწავლების მეთოდები.</p>
<p>სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა</p>	<p>ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შექმნილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.</p> <p>ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.</p> <p>ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).</p> <p>შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი</p>

გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, რეფერატი, წერილობითი დავალება და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

შუალედური და დასკვნითი შეფასების კომპონენტების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არ უნდა აღმატებოდეს შუალედური შეფასებების 60 %-ს და დასკვნითი გამოცდის 60%-ს. ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების სისტემა უშვებს:

- A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- (C) კარგი – 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

დასაქმების სფეროები	<p>„ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულ ფარმაციის ბაკალავრს შეეძლება დასაქმდეს: სააფთიაქო ქსელის ნებისმიერი ტიპის ფარმაცევტულ დაწესებულებაში (საცალო, საბითუმო, კლინიკის, ფარმაცევტული ბაზა); - ფარმაცევტულ საწარმოში; წამლის ხარისხის კონტროლისა და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ანალიზურ ლაბორატორიებში; ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების საჯარო სამსახურში; სპეციალიზებულ სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში; ადგილობრივ და უცხოურ ფარმაცევტულ კომპანიებში; - შეუძლია შექმნას და მართოს საკუთარი ფარმაცევტული ბიზნესი.</p>
სწავლის გაგრძელების საშუალება	<p>ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია უმაღლესი აკადემიური განათლების მეორე საფეხურზე – მაგისტრატურაში შესაბამის ან მომიჯნავე სპეციალობაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით.</p>
პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა	<p>ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზი;</li> <li>• კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;</li> <li>• კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;</li> <li>• სასწავლო ლაბორატორიები ფარმაციის მიმართულებით (ქიმიური და ფარმაკოგნოსტული პროფილის)</li> <li>• სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.</li> </ul> <p>საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წინადადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით.</p>
პროგრამის ადამიანური რესურსი	<p>საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელება უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური პერსონალით (იხ. დანართი 3). საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციის მქონე მოწვეული პერსონალი.</p> <p>პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით უნივერსიტეტს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. შპს „გეფა“</li> <li>2. შპს „ავერსი-ფარმა“</li> <li>3. შპს „კსპ-ფარმა“</li> <li>4. სსიპ შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი</li> <li>5. სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული განყოფილება</li> </ol>

	<p>6. ზუგდიდი შ.პ.ს „N2 აფთიაქი“  7. ი.მ აფთიაქი „ზაირა გერგედავა“  8. აფთიაქი ს.პ.ს „ჯულიეტა ნადარია“  9. შ.პ.ს „ნეოფარმი“  10. ფარმაცევტული ფირმა „ივერიაფარმა“  11. ინდემწარმე „აფთიაქი თეონა ლოგუა“</p>
--	---

პროგრამის სტრუქტურა

	<p>ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს: თავისუფალ (სავალდებულო) სასწავლო კურსებს 40 კრედიტის ოდენობით. ძირითადი სპეციალობის (major) სასწავლო კურსებს 170 კრედიტი, რომელიც წარმოდგენილია ცალკეული სასწავლო კურსების სახით, აქედან 15 კრედიტი ეთმობა პრაქტიკას. ძირითადი სპეციალობის არჩევითი 30 კრედიტი თავისუფალი არჩევითი კურსები - 30 კრედიტი, სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებში შემავალი სასწავლო კურსებიდან, რომელიც წარმოდგენილია დანართის სახით.</p>
<p>თავისუფალი (სავალდებულო) სასწავლო კურსები 40 კრედიტი სავალდებულოა ყველასთვის</p>	<p>თავისუფალი (სავალდებულო) სასწავლო კურსების საფუძველზე საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი იღებს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების იმ ზოგადტრანსფერულ უნარებს, რომლებსაც წარმატებით გამოიყენებს საკუთარი სპეციალობის ათვისებისა და საზოგადოებრივი ღირებულებების დამკვიდრების პროცესში, რომლებიც ემსახურება სასწავლო უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიული განვითარების მიზნებს.</p> <p>თავისუფალი (სავალდებულო) სასწავლო კურსების კომპონენტიდან სტუდენტმა უნდა დააგროვოს 40 კრედიტი. თავისუფალი (სავალდებულო) სასწავლო კურსები მოიცავს საინფორმაციო ტექნოლოგიების, უცხო ენის, აკადემიური წერის (ქართ. ინგლ, აღნიშნული სასწავლო კურსის ინგლისურად სწავლება უზრუნველყოფილია Erasmus+ -ის ფარგლებში მოქმედი საერთაშორისო პროგრამის INTEGRITY-ს, აკადემიური კეთილსინდისიერების დანერგვა, ფარგლებში შექმნილი ლიტერატურით), ფილოსოფიის ისტორიის (კონცეპტუალური საკითხები) და დემოკრატია და მოქალაქეობის სწავლებას. თავისუფალი (სავალდებულო) სასწავლო კურსები გულისხმობს სწავლის შედეგებით განსაზღვრული ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების მიცემას სტუდენტისთვის, რომ მას შეეძლოს აღნიშნული სასწავლო კურსების ფარგლებში მიღებული ცოდნით გლობალურ გარემოში არსებული კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემა და შესაბამისი ღირებულებების გაზიარება. წერითი და ზეპირი კომუნიკაციური უნარების განვითარება და ინფორმაციის მოძიება-გადაცემის მიზნით საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარის გამომუშავება. აღნიშნული გულისხმობს ასევე უცხო ენის 20 კრედიტის ფარგლებში ინგლისური, გერმანული ან რუსული ენების (სტუდენტის არჩევით) სწავლებასა და ამ ენებზე კომუნიკაციის უნარის ჩამოყალიბებას სტუდენტისთვის, რაც ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ელემენტების გაძლიერებას. პროგრამაზე ჩასარიცხად სტუდენტებს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე არ მოეთხოვებათ ჩააბარონ უცხო ენად მხოლოდ ინგლისური ენა, სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ჩარიცხვის შემთხვევაში ჯგუფების დიფერენციაციას უცხო ენის ცოდნის დონეებისა და ჩაბარებული უცხო ენის მიხედვით და შესაბამისად სწავლობენ არჩეულ ენას შესაბამისი საფეხურიდან თავისუფალი კრედიტის გამოყენებით.</p> <p>თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსებიდან სტუდენტი ირჩევს ერთ კურსს-25 კრედიტიდან. საუნივერსიტეტო სასწავლო კურსებიდან „კარიერის მართვა“ შეთავაზებული იქნება ინგლისურ ენაზე (.ანუ სტუდენტს შესაძლებლობა ექნება აირჩიოს ან ქართულად ან ინგლისურად წინაპირობის დაცვით), აღნიშნული სასწავლო კურსის ინგლისური ვერსია შემუშავებულ</p>

	<p>იქნა სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი საერთაშორისო პროექტის PICASA-ს ფარგლებში. ასევე კარიერის მართვის სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტებს ექნებათ საშუალება სწავლების მეთოდად გამოიყენონ Blended Learning შერეული ტიპის სწავლება, რომელიც როგორც საპილოტე ვერსია შემუშავებულია სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი საერთაშორისო პროექტის DARE-ს ფარგლებში.</p>
<p>ძირითადი სპეციალობის (major) საგნებს 170 კრედიტი, რომელიც წარმოადგენილია ცალკეული სასწავლო კურსების სახით</p>	<p>ძირითადი სპეციალობის (major) სასწავლო კურსების ფარგლებში გასავლელი 170 კრედიტი, რომელიც წარმოადგენილია ცალკეული სასწავლო კურსების სახით, ძირითადად ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების სტუდენტისთვის გადაცემაზე. ყველა სასწავლო კურსი სავალდებულოა. აღნიშნული კრედიტების ფარგლებში გათვალისწინებულია საწარმოო პრაქტიკის გავლა, რომელიც ემსახურება მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარების ჩამოყალიბებას სტუდენტებში.</p>
<p>თავისუფალი სასწავლო კურსების (30 კრედიტი)</p>	<p>აღნიშნული კრედიტების ფარგლებში სტუდენტს ეძლევა საშუალება მისთვის სასურველი სასწავლო კურსების ათვისების, როგორც ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ასევე სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი სხვა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემავალი სასწავლო კურსებიდან. სასწავლო უნივერსიტეტში არსებობს სასწავლო კურსების ნუსხა, რომელთაგან სტუდენტი უფლებამოსილია აირჩიოს მისთვის სასურველი სასწავლო კურსები 30 კრედიტის ფარგლებში.</p> <p>აღნიშნული კრედიტების ფარგლებში მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტს ეძლევა საშუალება ელიაროს არასპეციალობის სხვა სასწავლო კურსები, რომლებიც ათვისებული აქვს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.</p> <p>აღნიშნული მოქნილსა და რელევანტურს ხდის საერთაშორისო მობილობით მოსარგებლე სტუდენტის კრედიტების აღიარების პროცედურებს.</p>

ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ

სახელი, გვარი	ნატო ალავიძე			
თანამდებობა	ფარმაციის დოქტორი, მოწვეული პროფესორი			
საკონტაქტო ინფორმაცია	ტელეფონი:	599516022	ელ-ფოსტა:	natoalavidze66@gmail.com

ინფორმაცია პროგრამის თანახელმძღვანელის შესახებ

სახელი, გვარი	ნოდარ სულაშვილი			
სამეცნიერო ხარისხი	ფარმაციის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი			
საკონტაქტო ინფორმაცია	ტელეფონი:	597 12 17 28	ელ-ფოსტა:	n.sulashvili@ug.edu.ge

ინფორმაცია ადამიანური რესურსის შესახებ

კურსის დასახელება	სახელი გვარი	კვალიფიკაცია
აკადემიური წერა	თეონა ხუფენია/ზელა მოსია	ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი
საინფორმაციო ტექნოლოგიები	რევაზ ხაინდრავა	ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ფილოსოფიის ისტორია (კონცეპტუალური საკითხები)	ირაკლი თაბორიძე	ევროპული სამართლის მაგისტრი, მოწვეული სპეციალისტი
დემოკრატია და მოქალაქეობა	ლაშა ნარსია	ეკონომიკის დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი
ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (A.1)	ნათია წიფურია	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხი ფილოლოგიაში, მასწავლებელი
ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (A2.1)	ნათია წიფურია	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხი



		ლიტერატურის მასწავლებელი, მასწავლებელი
გერმანული ენის პრაქტიკული კურსი (B 1.2)	თინათინ ლოლუა	ფილოლოგი, გერმანული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, მასწავლებელი
გერმანული ენის პრაქტიკული კურსი (B 2.1)	თეკლე კიკალიშვილი	საშუალო სკოლის გერმანული და ინგლისური ენის მასწავლებელი; მთარგმნელ-რეფერენტი, მოწვეული სპეციალისტი
გერმანული ენის პრაქტიკული კურსი (B 2.2)	თეკლე კიკალიშვილი	საშუალო სკოლის გერმანული და ინგლისური ენის მასწავლებელი; მთარგმნელ-რეფერენტი, მოწვეული სპეციალისტი
გერმანული ენის პრაქტიკული კურსი (A 2.1)	თეკლე კიკალიშვილი	საშუალო სკოლის გერმანული და ინგლისური ენის მასწავლებელი; მთარგმნელ-რეფერენტი, მოწვეული სპეციალისტი
გერმანული ენის პრაქტიკული კურსი (A 2.2)	თეკლე კიკალიშვილი	საშუალო სკოლის გერმანული და ინგლისური ენის მასწავლებელი; მთარგმნელ-რეფერენტი, მოწვეული სპეციალისტი
გერმანული ენის პრაქტიკული კურსი (B 1. 1)	თეკლე კიკალიშვილი	საშუალო სკოლის გერმანული და ინგლისური ენის მასწავლებელი; მთარგმნელ-რეფერენტი, მოწვეული სპეციალისტი
გერმანული ენის პრაქტიკული კურსი (B 1. 2)	თეკლე კიკალიშვილი	საშუალო სკოლის გერმანული და ინგლისური ენის მასწავლებელი; მთარგმნელ-რეფერენტი, მოწვეული სპეციალისტი
პროფესიული ლათინური	ეკატერინე დოლბაია	პროფიზორი, მოწვეული სპეციალისტი.
ბოტანიკა	ლარისა თირქია	ბიოლოგიის დოქტორი. ასოცირებული პროფესორი
სამედიცინო ფიზიკა ბიოფიზიკით	თეა ადამია	
ჰისტოლოგია, ციტოლოგია	ნანა გელენავა	ბიოლოგიის დოქტორი. ასოცირებული პროფესორი
ანატომია ფიზიოლოგიით	ლალი ფხალაძე	მედიცინის დოქტორი, მოწვეული პროფესორი
ფარმაცევტული ზრუნვა	ნატო ალავიძე, ნათია ჩუბინიძე	ფარმაციის დოქტორი, მოწვეული პროფესორი/

		დოქტორანტ, ასისტენტ-პროფესორი
მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია	ლარისა თირქია	ბიოლოგიის დოქტორი. ასოცირებული პროფესორი
სამედიცინო ბიოლოგია, გენეტიკით	ლარისა თირქია	ბიოლოგიის დოქტორი. ასოცირებული პროფესორი
ანალიზის ინსტრუმენტული მეთოდები	ენვერ არველაძე	ტექნიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ზოგადი და არაორგანული ქიმია	ბადრი ნანეიშვილი	ქიმიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ზოგადი იმუნოლოგია	ვახტანგ კუკავა	ექიმი, მოწვეული სპეციალისტი
ორგანული ქიმია	ენვერ არველაძე	ტექნიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ანალიზური ქიმია	ენვერ არველაძე	ტექნიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ფიზიკური და კოლოიდური ქიმია	ბადრი ნანეიშვილი	ქიმიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ბიოეთიკა	დალი დარასელია	პროვიზორი, პრაქტიკული გამოცდილების სპეციალისტი.
ბიოქიმია	ნანა გელენავა	ასოცირებული პროფესორი ბიოლოგიის დოქტორი
ტოქსიკოლოგიური ქიმია	ენვერ არველაძე	ტექნიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
წამალთა ტექნოლოგია	ზურაბ ქემოკლიძე	ასოცირებული პროფესორი, ფარმაციის დოქტორი
საზოგადოებრივი ჯანდაცვის საფუძვლები	ვახტანგ კუკავა	ექიმი, მოწვეული სპეციალისტი
ფარმაცევტული ინფორმაცია	ზურაბ ქემოკლიძე	ასოცირებული პროფესორი, ფარმაციის დოქტორი
მათემატიკის და სტატისტიკის მეთოდები მედიცინაში	მანანა შეროზია	მოწვეული სპეციალისტი
ფარმაცევტული ქიმია 1	ლალი კინწურაშვილი	ფარმაციის დოქტორი. პროფესორი
ფარმაცევტული ქიმია 2	ლალი კინწურაშვილი	ფარმაციის დოქტორი. პროფესორი
ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ქიმია	ლალი კინწურაშვილი	ფარმაციის დოქტორი.

		პროფესორი
ფარმაკოგნოზია	ქეთევან გაბუნია	ფარმაციის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
კლინიკური ფარმაცია/ფარმაკოლოგია	ნოდარ სულაშვილი, ნანა ბარათაშვილი	ფარმაციის დოქტორი, მოწვეული პროფესორი/ დოქტორანტი, ასისტენტ- პროფესორი
ფარმაკოთერაპია	ლალი კინწურაშვილი	ფარმაციის დოქტორი. პროფესორი
ფარმაკოკინეტიკა	ნოდარ სულაშვილი	ფარმაციის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ზოგადი მედიცინის და დიაგნოსტიკის საფუძვლები	მარიამ როდონაია	მოწვეული სპეციალისტი
ფარმაცევტული საქმის ორგანიზაცია და ეკონომიკა	ნატო ალავიძე	ფარმაციის დოქტორი, მოწვეული პროფესორი
ფარმაციის მენეჯმენტი და მარკეტინგი	ზურაბ ქემოკლიძე	ფარმაციის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
პათოლოგია -დაავადებათა მექანიზმები და მკურნალობა	ვახტანგ კუკავა	ექიმი, მოწვეული სპეციალისტი
პირველადი სამედიცინო დახმარება	ვახტანგ კუკავა	ექიმი, მოწვეული სპეციალისტი
ეკოლოგიის საფუძვლები	ლარისა თირქია	ბიოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
სამკურნალო მცენარეთა კულტურა საქართველოში	ლარისა თირქია	ბიოლოგიის დოქტორი. ასოცირებული პროფესორი
ზოგადი ჰიგიენა	ვახტანგ კუკავა	ექიმი, მოწვეული სპეციალისტი
ფარმაცევტული და სამედიცინო კოსმეტოლოგია	ლალი კინწურაშვილი	ფარმაციის დოქტორი. პროფესორი
ფარმაცევტული საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები	გია აკობია	იურისტი, მოწვეული სპეციალისტი
ფიტოთერაპია	ლალი კინწურაშვილი	პროფესორი, ფარმაციის დოქტორი
მედიცინის და ფარმაციის ისტორია	ნოდარ სულაშვილი	ფარმაციის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
სამკურნალო საშუალებათა კონტროლი და სტანდარტიზაცია	ზურაბ ქემოკლიძე	ფარმაციის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი